სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/185

ქ. თბილისი

28 ნოემბერი 2023 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ოქროს მედლით“ დაჯილდოებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის №01-05-02/29 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისთვის, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი ლევან იმნაიშვილი დაჯილდოვდეს „ოქროს მედლით“ და ფულადი ჯილდოთი (500 ლარის ოდენობით);
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისთვის, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მაგული ბედინეიშვილი დაჯილდოვდეს „ოქროს მედლით“ და ფულადი ჯილდოთი (500 ლარის ოდენობით);
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისთვის, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი გელა გოდერძიშვილი დაჯილდოვდეს „ოქროს მედლით“ და ფულადი ჯილდოთი (500 ლარის ოდენობით);

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**